



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1626
02/03/2018

1626-09-2-201803021646



საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა თქვენი 2018 წლის 26 თებერვლის №2430 წერილი სურსათში (ხინკალი) მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის თაობაზე, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოს ქვემო ქართლის სამმართველოს უფლებამოსილმა პირებმა შპს „კამა“-ში (ს/კ 416309989) ამა წლის 27 თებერვალს განახორციელეს სახელმწიფო კონტროლი - არაგვემური ინსპექტირება.

ინსპექტირებისას შედგენილ იქნა შესაბამისობის შეფასების აქტი, დაფიქსირდა ერთი კრიტიკული და თორმეტი არაკრიტიკული შეუსაბამობა. ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1000 ლარი), ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად მიეცა მითითებები გონივრული ვადის გათვალისწინებით.

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.